15/04/2021

რუსეთის ეკლესიის წმიდა სინოდის უხუცესი მუდმივი წევრი, მოსკოვის მიტროპოლიის მმართველი, კრუტიცისა და კოლომენის მიტროპოლიტი იუბენალი პირადი თხოვნის საფუძველზე პენსიაზე გავიდა

'ВЯТЕЙШЕСТВУ
ЕЙШЕМУ КИРИЛЛУ
ИАРХУ МОСКОВСКОМУ И ВСЕЯ РУСИ

Митрополита Крутицкого и Ко
Ювеналия

Ваше Святейшество!

Мой возраст и состояние здоровья не позволяют мне
иальные труды по управлению Московской Епархией.
В связи с этим прошу Ваше Святейшество почислить м
чтобы назначенный Вами преемник исполнил по
нного Синода от 13 апреля с.г. и вступил в
вской Епархией.
Для совершения мною богослужений прошу б
святых апостолов Петра и Павла в Лефортово г. Москвы
на я делал свои «первые шаги».

Вашего Святейшества недостойный послушник

+ Митрополит Ювенали

რუსეთის ეკლესიის წმიდა სინოდის უხუცესი მუდმივი წევრი, მოსკოვის მიტროპოლიის მმართველი, კრუტიცისა და კოლომენის მიტროპოლიტი იუბენალი პირადი თხოვნის საფუძველზე პენსიაზე გავიდა

კრუტიცისა და კოლომენის მიტროპოლიტმა იუბენალიმ პენსიაზე გასვლის თხოვნით ოფიციალურად მიმართა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილეს. მიტროპოლიტმა პენსიაზე გასვლის მიზეზად ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა დაასახელა.

მიტროპოლიტი იუბენალი 85 წლის არის. ის 1965 წლიდან იმყოფება მღვდელმთავრის ხარისხში. 1977 წლიდან არის რუსეთის ეკლესიის წმიდა სინოდის მუდმივი წევრი. დაჯილდოებულია მეორე პანაღიის ტარების უფლებით. იგი არის რუსეთის ამჟამინდელი პატრიარქის კირილეს ეპისკოპოსად ერთ-ერთი ხელდამსხმელი.

მიტროპოლიტ იუბენალის პენსიაზე გასვლის გამო, პატრიარქმა კირილემ დროებით თავად შეითავსა მოსკოვის მიტროპოლიის უშუალო მმართველობა.

მსოფლიო საეკლესიო სიახლენი